PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ (ქ. სენაკი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

წევრი: თამილა გრძელიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- [x] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- [ ] საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება
- [ ] ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 იანვრის MES 1 22 0000015114 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი, წევრი: თამილა გრძელიშვილი) დაევალა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ქ. სენაკი, მშვიდობის ქუჩა №192), „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან სრულფასოვანი შეფასების მიზნით, შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 28 იანვარს, განხორციელდა ვიზიტი ქ. სენაკის ბაზაზე. შეხვედრამ ჩაიარა მშვიდ, საქმიან გარემოში.

ექსპერტთა ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ყველა იმ გარემოების შესწავლა, რაც უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 60 პროფესიული სტუდენტით გაზრდისთვის დაწესებულების შესაძლებლობების დადგენასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას (ავტორიზაციის საბჭოს 06.11.2018 წ. №87 გადაწყვეტილების შესაბამისად „საექთნო განათლების“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ქ. სენაკის განყოფილებაში განსაზღვრული იყო 40 პროფესიული სტუდენტით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები და განხორციელდა მათთან გასაუბრება ონლაინ რეჟიმში.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია - კლინიკური პრაქტიკის დაწყებამდე განახორციელონ კლინიკური პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული პირების ტრენინგი მოდულური პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აგვისტოს №42 დადგენილება/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

	ცვლილება-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 დეკემბერი №67 დადგენილება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	სენაკი, მშვიდობის ქ. №192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ქ. სენაკის ბაზაზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 06.11.2018 წ. №87 გადაწყვეტილების საფუძველზე, მიეცა უფლება საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ განხორციელებასთან დაკავშირებით და ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 40 ადგილით. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებით დასტურდება, პირველი ჩარიცხვა განხორციელდა 2019 წელს და ჩაირიცხა 11, მეორე ჩარიცხვა განხორციელად 2020 წელს და ჩაირიცხა 14, ხოლო 2021 წელს ჩაირიცხა 13 პროფესიული სტუდენტი. საერთო ჯამში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - 38 -ფაქტიურად შეესაბამება მინიჭებული ზღვრულ რაოდენობას - 40 ადგილი. როგორც სასწავლო უნივერსიტეტის რექტორთან და პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსთან გასაუბრებამ აჩვენა ყოველწლიურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე აპლიკანტების მხრიდან გაცილებით მეტი მომართვიანობაა, რაც განპირობებულია განსაკუთრებით კოვიდ-პანდემიის პირობებში არსებული კვალიფიცირებული ექთნების დეფიციტით.

დაწესებულების მხრიდან ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ (20-პროფესიული სტუდენტით) გადაწყვეტილება (სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 დეკემბრის №67 დადგენილება) დაეფუძნა უნივერსიტეტის მისიას, რომლის თანახმად სასწავლო უნივერსიტეტი რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით იღებს პასუხისმგებლობას უზრუნველყოს შრომის ბაზარი კვალიფიციური კადრებით, ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 20.04.2018), ,,შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა -2021წ.“-ის შედეგებს, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტის დაკვეთით განახორციელა კვლევითმა ორგანიზაციამ შპს ,,ლუმენი“ და ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს, რომელთა თანახმადაც გამოიკვეთა ექთნის სპეციალობის მკვეთრი დეფიციტი. გადაწყვეტილება დაეფუძნა ასევე დამსაქმებლების მხრიდან ექთნების მოთხოვნასთან დაკავშირებით ზეპირი და წერილობითი ხასიათის მომართვიანობას, რომლებიც დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა მტკიცებულების სახით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ადგილზე მატერიალური რესურსის შერჩევითი დათვალიერების, ასევე შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით საექთნო საქმე“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 60 პროფ სტუდენტი. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდით უზრუნველყოფილი იქნება მიღების გამოცხადების უწყვეტობა ყოველწლიურად 20 პროფესიული სტუდენტის ოდენობით, რომლებსაც კლინიკების ბაზაზე მოემსახურება მინიმუმ 3 შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების სპეციალისტი.

„საექთნო საქმის“ პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებაში ამ ეტაპზე გამოყოფილია 2 A გარემო (თუმცა შენობაში არის არაერთი თავისუფალი გარემო, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება პროგრამის განსახორციელებლად), რომელთაგან თითოეული გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე შესაბამისი მატერიალური ინვენტარით (პროფესიული სტუდენტის მაგიდა/სკამი - 20, პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი, პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი, პროექტორი /ეკრანი, დაფა /ფლიფჩართი და პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის სრული კომპლექტი, მულაჟები და თვალსაჩონოებები.). პროგრამის ფარგლებში დაწესებულებაში ასევე წარმოდგენილია 2 B გარემო, რომლებიც გათვლილია ერთდროულად 20 პროფესიულ სტუდენტზე. ცალკე არის მოწყობილი პირველადი გადაუდებელი დახმარების ოთახი შესაბამისი მატერიალური რესურსით.

პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური მოდულების განსახორციელებლად კოლეჯს 5-წლიანი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული: სამედიცინო ცენტრ შპს „არქიმედეს კლინიკასთან“ (ხელშეკრულება N2/9, 23 დეკემბერი, 2021), შპს „სენამედის“ სენაკის მრავალპროფილურ კლინიკასთან ((ხელშეკრულება N2/10, 23 დეკემბერი, 2021) და სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან (ხელშეკრულება N2/11, 23 დეკემბერი, 2021).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სამედიცინო ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებების და მათ ხელმძღვანელებთან გასაუბრების თანახმად სამივე კლინიკა იღებს ვალდებულებას ყოველწლიურად უზრუნველყოს 20 პროფესიული სტუდენტის მომსახურება, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მიერ ხელშეკრულებით აღებული კლინიკური მოდულების გავლა, სტუდენტებისათვის უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნა და უზრუნველყოს ისინი პირადი დაცვის საშუალებებით. პროფესიულ სტუდენტთა სწავლების განხორციელებისათვის 7 პროფესიულ სტუდენტზე გამოყოს მინიმუმ ერთი პირი, რომელსაც უდასტურდება საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება, ბებიაქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება, საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება და აქვს საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება. ყველა მათგანს უნდა ჰქონდეს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი კლინიკური მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ურთიერთთანამsრომლობის ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა სწავლების განხორციელებისათვის გამოყოფილი პირის/ექთნის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქცია-მოვალეობები და უფლებები. ხელშეკრულებებს თან ახლავს იმ კლინიკური მოდულების ჩამონათვალი, რომლის განხორციელების ვალდებულებასაც იღებენ კლინიკები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (60), სრულად იქნება უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, ხოლო პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უნივერსიტეტი თავის მხრივ სრულად უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფით.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ქ. სენაკის ბაზაზე საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ თეორიული მოდულების განსახორციელებლად დაკავებული ჰყავს 23 პროფესიული მასწავლებელი და 9 კლინიკური მოდულის განმახორციელებელი. მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, ხოლო კლინიკური მოდულების წარმომადგენლებთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შეთანხმებები მოწვეული მასწავლებლების სტატუსით. მათი პირადი საქმეების გაცნობის შედეგად დადგინდა მათი სრული შესაბამისობა მოდულების მოთხოვნებთან.

ექსპერტთა მიერ შემოწმდა ასევე პროგრამაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებელთა სასწავლო საქმიანობა და დადგინდა, რომ მათი რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და არ აღემატება კვირეულ 40 საათს.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლების“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მათი პირადი საქმეები. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ განსახორციელებლად, პროფესიული განათლების მასწავლებლები აყვანილნი არიან დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე და მათ აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. მათ გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და აქვთ სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. უნივერსიტეტის რექტორთან და პროფესიული განათლების ხელმძღვანელთან გასაუბრებით დგინდება, რომ მუდმივად ხორციელდება კვლევები მასწავლებელთა საჭიროებების დასადგენად და შესაბამისად იგეგმება მათ განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი**

ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შემოწმების და შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით (04.01.2018) დამტკიცებულია უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხოლო 2020 წლის 17 თებერვალს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით 01-01/10 დამტკიცებულია პროფესიულi საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებზე განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები და მათი საათობრივი დატვირთვა.

„საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ზემოხსენებული რეგულაციის (უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება 01-01/10) თანახმად არჩეულ იქნა გასაუბრების გზით და დაინიშნა უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 02 დეკემბრის N01-02/155 ბრძანების საფუძველზე. პროგრამის ხელმძღვანელი სრულად შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს, რამდენადაც არის დარგის სპეციალისტი - სენაკის მრავალპროფილური სავადმყოფოს მთავარი მედდა და აქვს სწავლების 6 წლიანი გამოცდილება. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დგინდება, რომ მას აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. იგი კოორდინაციას უწევს საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების/ განმახორციელებელების საქმიანობას, პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ის მრავალი წელია მუშაობს სპეციალობის მიხედვით, გავლილი აქვს არაერთი ტრენინგი სწავლების და შეფასების მიმართულებით (რაც დასტურდება მის პირად საქმეში განთავსებული სერტიფიკატებით), თუმცა გამოხატა მზაობა კვლავაც დაესწროს ტრენინგებს და აიმაღლოს კომპეტენცია ამ მიმართულებით.

ექსპერტთა დასკვნით პროგრამის ხელმძღვანელი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მასში განთავსებული „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამით მოთხოვნილი ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული სახით. წარმოდგენილი სახელმძღვანელოები და ელექტრო მატარებლებზე ჩატვირთული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ვებ გვერდზე OpenBiblio – ში განთავსებულია ყველა სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის მათ მარტივად ხელმისაწვდომობას.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

უნივერსიტეტს სენაკის ბაზაზე ამ ეტაპამდე „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სსსმ პირი არ ჰყოლია. როგორც პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსთან გასაუბრებით და ასევე „ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესწავლის (დამტკიცებულია ცვლილებებით: შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 09 ივლისის N34 დადგენილებით - მუხლი 32. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (სსსმ/შშმ) პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა) შედეგებით დგინდება, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოთქვამს მზადყოფნას უზრუნველყოს ისინი სრული საგანმანათლებლო რესურსით, მოახდინოს მოდულების მოდიფიცირება და ადაპტირება მათი საჭიროების გათვალისწინებით და იმოქმედოს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 20 იანვრის N10 დადგენილებით შექმნილი სახელმძღვანელო დოკუმენტით - „სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის სერვისები“. დოკუმენტის თანახმად საჭიროების შემთხვევაში შესაბამის პირებს მიეწოდება ადაპტირებული საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის უსინათლოსთვის ხელმისაწვდომი იქნება ბრაილის პრინტერი, რომელიც სპეციალურად შიფრავს საგანმანათლებლო რესურსებს. ბრაილის პრინტერი განთავსებულია ზუგდიდის ბაზაზა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში გამოყებებული იქნება სენაკის ბაზაზეც.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ სტუდენტთა სასწავლო პროცესის ასისტენტი (რექტორის ბრძანება №01-02/17; 28.02.2020 წ. და №01-02/15; 22.02.2020 წ.). საჭიროების შემთხვევაში პერსონალი სენაკის ბაზაზეც მოემსახურება შესაბამის პირებს.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამა „საექთნო განათლების“ ბიუჯეტი. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 5 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო ვაუჩერია, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, ძირითადი საშუალებების ცვეთა, მასალა ნედლეულზე დასახარჯი თანხა, კომუნალური გადასახადები და სხვა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ქ. სენაკის ბაზაზე საგანმანათლებლო პროგრამის ზღვრული რაოდენობის გაზრდის დასაბუთება;
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 დეკემბრის №67 დადგენილება დაწესებულების მხრიდან (სენაკის ბაზა) საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 20.04.2018),
- ჩატარებული კვლევის შედეგები;
- ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით (04.01.2018) დამტკიცებული უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- 2020 წლის 17 თებერვალს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით 01-01/10 განსაზღვრული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების ფუნქცია-მოვალეობები და მათი საათობრივი დატვირთვა;
- უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 02 დეკემბრის N01-02/155 ბრძანება „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 20 იანვრის N10 დადგენილებით შექმნილი სახელმძღვანელო დოკუმენტი - „სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის სერვისები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სამედიცინო ცენტრ შპს „არქიმედეს კლინიკასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება (N2/9, 23 დეკემბერი, 2021);
- შპს „სენამედის“ სენაკის მრავალპროფილურ კლინიკასთან გაფორმებული ხელშეკრულება (N2/10, 23 დეკემბერი, 2021)
- სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულება (N2/11, 23 დეკემბერი, 2021).
- საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი;
- „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსი;
- აუდიტორიების გამტარუნარიანობის ცხრილი;
- საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ბიუჯეტი;
- დათვალიერების შედეგები;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგები;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;
- კლინიკური მოდულების განმახორციელებელი ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

16.02.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: